პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიცირება

გამოცდებზე ონლაინ რეგისტრაცია

1. <u>წესები და ინფორმაცია გამოცდებზე ონლაინ (On-Line) დარეგისტრირების შესახებ</u>

- **ყოველი წლის ბაფის პროფესიული სერტიფიცირების ზამთრის და ზაფხულის გამოცდებზე მიმდინარეობს ელექტრონული რეგისტრაცია. რეგისტრაცია სრულდება გამოცდის გამოცხადებულ თარიღამდე 10 დღით ადრე.**
- ზემოთ მითითებული თარიღების შემდეგ ბაფის მონაცემთა ბაზაში გამოცდაზე <u>On-Line</u> დარეგისტრირებას ვეღარ შეძლებთ.
- გამოცდებზე ელექტრონული ვერსიით **On-Line** დარეგისტრირებისას პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს საკუთარი რეგისტრაციის ნომერი და პაროლი, რითაც შევა საკუთარ გვერდზე ბაფის მონაცემთა ბაზაში.
  http://lms.accatraining.ge/projects/gfpaa/login/student/index.php
- **On-Line** რეჟიმში გამოცდებზე დარეგისტრირებამდე პრეტენდენტს უკვე უნდა ჰქონდეს გადახდები შესრულებული, გადახდის ქვითრები დასკანერებული და რეგისტრაციისას ატვირთოს ეს დოკუმენტები:
  1. გამოცდის საფასურის ქვითარი (ინფორმაცია იხილეთ გამოცდის საფასურში);
  2. ბაფის საწევროს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
  3. წიგნის შეძენის დამადასტურებელი ქვითარი.
- თუ პრეტენდენტის გამოცდის თანხა გადახდილი აქვს ავანსად (წინასწარ), ბაფის ბუღალტერიიდან უნდა აიღოს ამის დამადასტურებელი საბუთი და ის ატვირთოს გადახდის დასტურად.
- არასრული გადახდის ანდა არასწორი გადახდის შემთხვევაში, პრეტენდენტი რეგისტრაციას ვერ დაასრულებს <u>(რეგისტრაციაზე დასტურს ვერ მიიღებს).</u> ამის შესახებ ინფორმაციის წაკითხვა მას შეუძლია კომენტარის ველში, რომელიც გამოჩნდება სტატუსზე მაუსის დაჭერის შემდეგ, სადაც ზუსტად იქნება მითითებული დაბლოკვის მიზეზი.
- მხოლოდ მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ ბაფის ადმინისტრაციის მიერ მოხდება დასტურის გაცემა პრეტენდენტის მოთხოვნაზე.

პრეტენდენტმა გადახდის ქვითრები უნდა შეინახოს გამოცდის ბოლომდე.
(საჭიროებისამებრ, წარმოადგინოს ბუღალტერთან).

<u>გამოცდაზე რეგისტრაციის ინსტრუქცია</u>

გამოცდაზე რეგისტრაციისათვის ბაფის მონაცემთა ბაზაში პრეტენდენტმა საკუთარ გვერდზე უნდა ნახოს შემდეგი ღილაკები:

- = გამოცდაზე რეგისტრაცია =
- გამოცდაზე რეგისტრაციის მოთხოვნის დამატება = (მარცხნივ + გამოცდაზე რეგისტრაცია)
- გავეცანი და ვეთანხმები აღნიშნულ წესებს V
- = ეტაპის არჩევა = (სკოლა-პროგრამაში)
- = წიგნის არჩევა = (ჯგუფში ორი წკაპი)
- = გადახდის ქვითრების ატვირთვა = **(choose file)**
- = მოთხოვნის დასრულება = (დამახსოვრება)

გადახდის ქვითრების ატვირთვისა და მოთხოვნის დასრულების შემდეგ, აუცილებელია პრეტენდენტმა სტატუსის ღილაკზე მიიტანოს ან დააჭიროს მაუსი (სადაც წერია:)

- = რეგისტრაციის მოთხოვნა დაუსრულებულია =

ავტომატურად გადადიხართ კვლავ წიგნებში რეგისტრაციაზე და დააჭირეთ:

- = დამახსოვრება/რეგისტრაციის მოთხოვნის დასრულება = ღილაკს.

(ამ ღილაკზე მაუსის <u>დაჭერის გარეშე, თქვენი მოთხოვნა ჩვენთან</u> <u>არ იგზავნება და ის მხოლოდ თქვენს</u> <u>გვერდზე ჩანს. შესაბამისად, გამოცდაზე არ იქნებით დარეგისტრირებული).</u>

იმავე სტატუსთან (სტატუსის ქვემოთ მოთავსებულ გამოსახულებაზე) მაუსის მიტანისას ამის შემდეგ დაიწერება:

- = მოთხოვნა ელოდება დადასტურებას =

მხოლოდ ამ შემთხვევაშია თქვენი მოთხოვნა ჩვენთან გამოგზავნილი და არა სხვა შემთხვევებში.

ადმინისტრატორი გადაამოწმებს თქვენს გადახდებს და, თუ ყველაფერი სწორია, თქვენს მოთხოვნას დაადასტურებს. ამის შემოწმება ხდება სტატუსთან მაუსის მიტანისას, სადაც გამოჩნდება შეტყობინების ფანჯარა:

- = დადასტურებულია = (V- მწვანე ფერის).

თუ არ არის სწორი, მაშინ მოთხოვნა არ დადასტურდება და გამოჩნდება წრე. შეგიძლიათ მიზეზს გაეცნოთ მესიჯის ველში (გამოჩნდება მაუსის დაჭერის შემდგომ სტატუსის ქვემოთ მოთავსებულ ფიგურაზე) და გამოასწოროთ.

გამოსწორებისა და დასტურის შემთხვევაში, **პრეტენდენტს** არჩეული წიგნი დაუფიქსირდება თავის გვერდზე: **გრაფიკსა და შეფასებაში.**

თუ **პრეტენდენტი** დარეგისტრირების შემდეგ ვეღარ ახერხებს გამოცდაზე გასვლას, **გამოცდებამდე 3 დღით ადრე, წერილობით უნდა მიმართოს ბაფის ადმინისტრაციას**, გააუქმოს განაცხადი და გამოცდის თანხა კრედიტში შეენახება. **წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახდილი თანხა აღიარდება შემოსავლად, ტელეფონით ინფორმაცია არ მიიღება.**

ბაფის მონაცემთა ბაზის ლინკი
(რეგისტრაციის ნომერი და პაროლი ტელეფონით არ გაიცემა)

http://lms.accatraining.ge/projects/gfpaa/index.php